ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №467641

ნომერი: AR197059

თარიღი : 07.12.2012

გაცემის თარიღი : 12.12.2012

გაცნობის თარიღი : 13.12.2012

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

თბილისი ქინძმარაულის ქ.#16;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ჩაგელიშვილი პ/ნ 01013023589
- თბილისი ვარკეთილი 3 I მ/რ კორ. 8 ბ. 21

ორგანიზაცია:

- შ.პ.ს "ომზაკო" კოდი: 208208928

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვთ ტერიტორიაზე 60 კვ.მ-მდე ფართის მქონე შენობა/ნაგებობის მშენებლობას, პასუხად გაცნობებთ, რომ ამჟამინდელი მდგომარეობით საპროექტო მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდით #01.19.34.003.011, ფუნქციური ზონირების მიხედვით მდებარეობს სატრანსპორტო ზონა 1-ში (ტრზ-1), რომელიც ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული "ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები"-ს მე-19 მუხლის თანახმად სატრანსპორტო ზონა 1 (ტრზ-1) წარმოადგენს სატრანსპორტო ზონას, რომელიც მდებარეობს ადმინისტრაციულ საზღვრებში და მოიცავს არსებულ და საპროექტო (პერსპექტიულ) ქუჩებს, გზებს, მოედნებს, გზატკეცილებს, ხიდებს, გზაგამტარებს, დროებით ავტოსადგომებს, სარკინიგზო ხაზებს (გასხვისების ზოლის ჩათვლით), მეტროპოლიტენის მიწისზედა ხაზებს, ტრამვაის ხაზებს (ჩამონათვალის ფარგლებში – ტროტუარებს, ქუჩის მომიჯნავე გამწვანებულ ზოლებს, უსაფრთხოების კუნძულებს, გამწვანებულ გზაგამყოფებს, ტროტუარის მიმდებარე გაზონს, ზღუდარებს). აღნიშნული ფაქტიდან გამომდინარე, ვინაიდან ფაქტიურად განსაზღვრულია ამ მიწის ნაკვეთის შემდგომი განვითარების მიზნობრივი დანიშნულება და ამავდროულად " 2012 წლის 5 სექტემბრის #35 სხდომის საფუძველზე, ფუნქციური ზონის სტატუსის – სატრანსპორტო ზონა 1–ის ცვლილებაზე უკვე გეთქვათ უარი, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს შესაბამისი წერილობითი თანხმობა აღნიშნულ სამუშაოსთან დაკავშირებით.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge